ქალაქ ქუთაისისთვის ისტორიულად მნიშვნელოვანი პროდუქტებისა და სერვისების აღსადგენად/შესანარჩუნებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდამჭერი კონკურსის წესი და პირობები

1. შესავალი

1.1. ქალაქ ქუთაისისთვის ისტორიულად მნიშვნელოვანი პროდუქტებისა და სერვისების აღსადგენად/შესანარჩუნებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მიღების კონკურსი ცხადდება ქუთაისის მუნიციპალიტეტისა და ა(ა)იპ „მართვისა და განვითარების გადაწყვეტილებების ჰაბი" ერთობლივად განხორციელებული, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისთვის" ფარგლებში.

1.2. აღნიშნული პროექტის ზოგადი მიზანია ქუთაისის გადაქცევა კარგ საცხოვრებელ და საინვესტიციო ქალაქად. კონკრეტულად კი ქუთაისის, იმერეთის დანარჩენი, გურიის და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მუნიციპალიტეტებში შესაძლებლობის შექმნა ქვეყნის ინტეგრირებულ ტერიტორიულ განვითარებაში ეფექტიანი წვლილის შესატანად. პროექტი ეხმარება ქუთაისის მუნიციპალიტეტს შექმნას პირობები ქალაქში სოციალური ინკლუზიურობის, ბიზნესის განვითარებისა და შემოსავლის მისაღებად.

2. მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მიზნები

2.1. აღნიშნული მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის საერთო მიზანია ქალაქის განვითარებისთვის წაახალისოს კერძო სექტორსა და მომხმარებლებს შორის ინტეგრირებული ტრანსფორმაცია ისტორიულად მნიშვნელოვანი პროდუქტებისა და სერვისების აღდგენითა და/ან შენარჩუნებით.

2.2. მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის კონკრეტული მიზანია ქალაქის ინტეგრირებულ ტრანსფორმაციულ განვითარებაში კერძო სექტორის მონაწილეობის ხელშეწყობა მათი ჩართვით ქუთაისისთვის ისტორიულად მნიშვნელოვანი პროდუქტებისა და სერვისების აღდგენა/შენარჩუნებაში.

3. მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მიმღები სუბიექტები

3.1. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ქალაქ ქუთაისის და იმერეთის რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებულ:

ა. სრულწლოვან მაცხოვრებელს, რომელიც აცხადებს მზაობას კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, დარეგისტრირდეს გადასახადის გადამხდელ პირად.

ბ. კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიულ პირებს;

გ. არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებსა. კონკურსის ფარგლებში.

3.2. მესამე მხარის ფინანსურ მხარდაჭერას მიიღებს კონკურსში მონაწილე გამარჯვებული.

3.3. კონკურსში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ საჯარო მოხელეებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებასაც ადევს ყადაღა.

3.4. კონკურსში მონაწილეობის მსურველს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი განაცხადი.

4. მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მიღების პირობები

4.3. მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში გამოყოფილი დაფინანსება შეიძლება გამოყენებული იქნეს ქმედებებისთვის[1], რომლებიც მიმართულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისთვის ისტორიულად მნიშვნელოვანი პროდუქტებისა და სერვისების აღსადგენად/შესანარჩუნებლად.

4.4. კონკურსის გამარჯვებულისთვის თანხის გადარიცხვა მოხდება მხარეებს შორის გაფორმებული მემორანდუმის/ხელშეკრულების საფუძველზე.

5. დაშვებული და დაუშვებელი დაფინანსება

5.3. მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერისთვის გათვალისწინებული თანხებით დაფინანსდება მხარდაჭერის მიმღების მიერ კონკურსის მიზნების მისაღწევად ფაქტიურად გაწეული ხარჯები.

5.4. მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერა არ შეიძლება გამოყენებული იქნეს შემდეგისთვის:

- ვალები და ვალის მომსახურების საფასური (პროცენტი).
- არსებული დანაკარგების ან მომავალში პოტენციური ვალდებულებების გასტუმრებისთვის რეზერვების შექმნა.
- ოფისის ქირა.
- საოფისე აღჭურვილობა/ინვენტარის (ავეჯი: მერხები, სკამები, კარადები და სამუშაო ადგილისთვის განკუთვნილი სხვა ავეჯი; საკანცელარიო ნივთები: ისეთი ნივთები, როგორიცაა პრინტერები, ქსეროქსი, ფაქსის აპარატები და შრედერები (ქაღალდის დამაქუცმაცებელი) და სხვა) შეძენა.
- IT აღჭურვილობის (კომპიუტერები: დესკტოპები, ლეპტოპები და სერვერები; პერიფერიული მოწყობილობები: კლავიატურები, მაუსები, მონიტორები, პრინტერები და

---

[1] ქმედებები შესაძლებელია მოიცავდეს მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს შემდეგით:

- 2024 წლის 24 აპრილის საქართველოს მთავრობის N148 დადგენილებით დამტკიცებული „2024-2030 წლების ევროკავშირის ჭკვიანი სპეციალიზაცია (S3/Smart Specialisation) იმერეთისთვის" პრიორიტეტული დომეინები: ლითონის მადნების მოპოვება, ძირითადი ლითონების და ლითონის მზა ნაწარმის წარმოება; ხე-ტყის დამუშავება, ხის პროდუქტებისა და ავეჯის წარმოება; კვების ინდუსტრია (მ.შ. აგრობიზნესი, ხორცის გადამუშავება და ჰორეკას სექტორი); ტექსტილის, ფეხსაცმლის, ტყავის ნაკეთობათა წარმოება;
- ვაუჩერები კერძო სექტორისთვის უნივერსიტეტის/კვლევითი ინსტიტუტის მიერ მათთვის საინტერესო საკითხზე კვლევის ჩასატარებლად;
- ვაუჩერი უნივერსიტეტის/კვლევითი ინსტიტუტისთვის კონკრეტული ბიზნესისთვის საჭირო კვლევის ჩასატარებლად;
- ხელნაკეთი ნივთების წარმოება;
- საჭიროებები ტურზმის განვითარებისთვის;
- სხვა.

სკანერები; ქსელური მოწყობილობები: როუტერები, ჩამრთველები, მოდემები და ქსელის კაბელები; პროგრამული უზრუნველყოფა: ოპერაციული სისტემები, პროდუქტიულობის პროგრამული უზრუნველყოფა (მაგ. Microsoft Office) და სხვა აპლიკაციები.) შეძენა.

- პირადი მოხმარების ნივთების შეძენა.
- დაზღვევის ხარჯები.
- ბენეფიციარ(ებ)ის მიერ გაცხადებული და ევროკავშირის მიერ სხვა აქტივობიდან ან პროგრამიდან დაფინანსებული ხარჯები.
- მიწის ან შენობების შესყიდვა.
- ვალუტის კურსის დანაკარგები.
- ფულადი გადარიცხვები სხვა პირებისთვის.
- მოგება
- რელიგიური, პოლიტიკური, საომარი და სხვა მსგავსი აქტივობა.
- ინფრასტრუქტურული ხარჯები.
- საერთაშორისო მგზავრობა.
- სხვადასხვა და გაუთვალისწინებელი ხარჯები.
- წარმომადგენლობითი ხარჯი.
- სოციალური სერვისები, ჯანდაცვის სერვისები და სხვა.
- საბრუნავი საშუალებები.
- მიმდინარე ხარჯები (მათ შორის ტრანსპორტირება, ხელფასები, რემონტის ხარჯი, დაზღვევის ხარჯი, კომუნალური გადასახდელები და სხვა).
- სატრანსპორტო საშუალებების (მსუბუქი ავტომობილი, ველოსიპედი, მოტოციკლი, ტაქსი, ავტობუსები და სხვა პირადი სარგებლობის ტრანსპორტი) შეძენა.

5.5. მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერა მიმართული შეიძლება იქნეს, ზემოთ ჩამოთვლილის გარდა სხვა ხარჯების დაფინანსებაზე, რომლებიც გამოყენებული იქნება კონკურსის მიზნების მისაღწევად.

5.6. მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის გამოყენება არ შეიძლება იმ საქონლის ან მომსახურების შესყიდვაზე და იმ ქვეყნებიდან, რომელიც აკრძალულია ევროკავშირის მიერ.

5.7. მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მიღება არ შეუძლიათ ევროკავშირის ან აშშ-ს მიერ სანქცირებულ პირებს.

6. მხარდასაჭერი პროექტების შერჩევა

6.3. მესამე მხარის ფინანსურ მხარდასაჭერის მისაღებად შეირჩევა იმდენი განაცხადი რის საშუალებასაც იძლევა კონკურსისთვის არსებული ბიუჯეტი, წარმოდგენილი განაცხადების მომზადების შესაბამისობა კონკურსის პირობებთან და გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმებთან.

6.4. განაცხადები უნდა აკმაყოფილებდნენ წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს და ხელს უწყობდნენ ბენეფიციარის შემოსავლების ზრდას. აღდგენილ/შენარჩუნებულ პროდუქტებთან და/ან სერვისებთან სარგებლობის საშუალება (წვდომა) უნდა ჰქონდეს ქალაქ ქუთაისის მაცხოვრებლების მინიმუმ 5%-ს.

6.5. განაცხადის განხორციელების რისკი სრულად უნდა იყოს აღმოფხვრილი და განმცხადებელს უნდა შეეძლოს განაცხადის სრულად განხორციელება და კონკურსის მიზნების მიღწევა.

6.6. პროექტით განხორციელებული აქტივობა უნდა დასრულდეს კონკურსში გამარჯვებულთან მემორანდუმის გაფორმებიდან არაუგვიანე 2 (ორი) თვისა.

6.7. მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მაქსიმალური მოცულობა შეადგენს 5 ათასი ევროს, ხოლო მინიმალური 2 ათასი ევროს ეკვივალენტს ლარში კონკურსის ფარგლებში გათვალისწინებული თანხისთვის განსაზღვრული კურსით.

6.8. განმცხადებლის სავალდებულო თანადაფინანსება შეადგენს პროექტის მთლიანი ღირებულების მინიმუმ 10%-ს. თანადაფინანსება შეიძლება განხორციელდეს შემდეგი სახით:

- ფულადი თანამონაწილეობა, როგორიცაა მისი საკუთარი სახსრები ან სახსრები სხვა წყაროებიდან, გარდა ევროკავშირიდან მიღებულისა.
- არაფულადი შენატანები, როგორიცაა: პროექტზე მომუშავე პერსონალის ხელფასები და ანაზღაურება, იმ პირობით, რომ ისინი არ არის დაფარული გრანტით; განსახორციელებლად აუცილებელი აღჭურვილობის ან ობიექტების გამოყენება; განსახორციელებლად საჭირო მასალები ან მარაგები.

7. განაცხადების შეფასება

7.3. თითოეული განაცხადი შეფასდება კომისიის მიერ სპეციალური კრიტერიუმების გათვალისწინებით. პრიორიტეტი მიენიჭება იმ განაცხადებს, რომლებიც შეფასდებიან უმაღლესი ქულებით.

7.4. კომისია იტოვებს უფლებას არ გამოავლინოს გამარჯვებულები, თუ ვერ შეირჩა სათანადო განაცხადი.

7.5. კონკურსისთვის, პროექტში გამოყოფილი და კონკურსის შედეგების მიხედვით აუთვისებელი თანხის შემდგომი განკარგვის საკითხი გადაწყდება საქართველოში ევროკავშირის დელეგაციასთან შეთანხმებით. გამარჯვებულთა გამოვლენა მოხდება სამართლიანად, განაცხადების ობიექტური შეფასების საფუძველზე.

7.6. კომისიის წევრები ვალდებულები არიან თავიდან აიცილონ ინტერესთან კონფლიქტი და პრიორიტეტი მიანიჭონ იმ განაცხადებს, რომლებისაც გააჩნიათ ყველაზე მაღალი პოტენციალი კონკურსის მიზნების მიღწევასთან დაკავშირებით.

7.7. განაცხადების კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი პასუხების შეფასებისას, კომისია შეაფასებს თითოეულ განაცხადს შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- **შესაბამისობა** – პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისთვის" და მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მიზნებთან.
- **რაოდენობა** – მონაწილის პროდუქტით/სერვისით სარგებლობის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელთა სულ მცირე 5%-ს.
- **ინოვაციურობა** – ახალი ტექნოლოგიების, ბიზნეს მოდელების, მიდგომების, მეთოდოლოგიებისა და დაფინანსების სქემებთან დაკავშირებული ინოვაციური მიდგომების გამოყენება. ინოვაცია ასევე შეიძლება მოიცავდეს პროექტებს, რომლებიც ჯერ არ განხორციელებულა ქუთაისში, მაგრამ ეფექტიანი იქნება მისი განხორციელება ქალაქისთვის.
- **კმაყოფილება** – ხელს უნდა უწყობდეს მონაწილის შემოსავლების ზრდას.

- **განმეორებადობა** – განაცხადით შეთავაზებულ პროექტს/აქტივობას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა შემდგომში განხორციელდეს სხვის მიერ.
- **განხორციელების ვადა** – განაცხადის განსახორციელებლად გამოყოფილი დრო შეზღუდული უნდა იყოს, რათა უზრუნველყოფილ იქნას მისი დასრულება კონკურსში გამარჯვებულთან მემორანდუმის გაფორმებიდან არაუგვიანე 2 (ორი) თვისა. უპირატესობა მიენიჭება განაცხადებს, რომლებიც შეძლებენ დასრულებას აღნიშნულ ვადამდე.
- **ხელმისაწვდომობა** – განმცხადებელი მზად უნდა იყოს მონაწილეობა მიიღოს პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებებში და გამოცდილება გაუზიაროს დაინტერესებულთ.
- **ბიუჯეტი** - მოთხოვნილი თანხის მოცულობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ პირობებით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, ხოლო თანადაფინანსება შეადგენდეს პროექტის მთლიანი ღირებულების მინიმუმ 10%-ს.
- **მნიშვნელობა** - პროდუქტი/სერვისი ისტორიულად მნიშვნელოვანი უნდა იყოს ქალაქ ქუთაისისთვის.
- **მკაფიოობა** – პასუხი უნდა იყოს მკაფო და დეტალური, შესაძლებელი უნდა იყოს მისი განხორციელება სხვის მიერაც.
- **გამოცდილება** - განმცხადებელს უნდა გააჩნდეს სათანადო გამოცდილება განახორციელოს შემოთავაზება განაცხადში მითითებული პირობებით.
- **მდგრადობა** - მონაწილეს უნდა შეეძლოს შემოთავაზებული პროდუქტის/სერვისის მიწოდება შემდეგი ერთი წლის განმავლობაში მაინც კონკურსის ორგანიზატორების მხარდაჭერის გარეშე.

7.8. განაცხადები, რომლებიც ყველაზე მეტად აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს, დაიმსახურებს მაღალ ქულას.

7.9. განაცხადების შეფასების პროცესი წარიმართება სპეციალური მეთოდოლოგიით, ზოგიერთი კრიტერიუმისთვის ქულების მინიჭებით, ზოგიერთის კი უპირობოდ დაკმაყოფილების მოთხოვნით.

ცხრილი 1. განაცხადების შერჩევის მეთოდოლოგია

შესაფასებელი კრიტერიუმი	გრძელდება შეფასება	წყდება შეფასება
შესაბამისობა	დიახ	არა
რაოდენობა	დიახ	არა
კმაყოფილება	დიახ	არა
განმეორებადობა	დიახ	არა
ხელმისაწვდომობა	დიახ	არა
ბიუჯეტი	დიახ	არა
კრიტერიუმი ქულებისთვის		**ქულა**
მნიშვნელობა		30
ინოვაციურობა	-	10
განხორციელების ვადა	-	5
მკაფიოობა	-	10
გამოცდილება	-	20
მდგრადობა	-	25

7.10. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში შესულ განაცხადებს განიხილავს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური.

7.11. სამსახური მოახდენს შესაფასებელი კრიტერიუმების მიხედვით განაცხადების გადარჩევას.

7.12. გადარჩეული განაცხადებისთვის ქულების მინიჭებას მოახდენს შესაბამისი კომისია.

7.13. კომისია, ინფორმაციის მიღებიდან გონივრულ ვადაში გამარჯვებულების შესახებ ინფორმაციას შესაბამისი მემორანდუმის/ხელშეკრულების გასაფორმებლად წარუდგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს.

7.14. მემორანდუმის/ხელშეკრულების გასაფორმებლად დაკავშირება მოხდება მხოლოდ შერჩეულ განმცხადებლებთან.

7.15. განაცხადების განხორციელება არ დაიწყება მანამ, სანამ მემორანდუმს/ხელშეკრულებას ხელი არ მოეწერება მხარეების მიერ.

7.16. მემორანდუმი/ხელშეკრულება განსაზღვრავს მხარეთა პასუხისმგებლობებს და განაცხადის განხორციელების პირობებს.

8. გამარჯვებული განაცხადების განხორციელება და მონიტორინგი

8.3. გამარჯვებული განაცხადების განსახორციელებლად ფინანსური მხარდაჭერის თანხები გადაირიცხება ტრანშებად მხარეთა შორის შეთანხმების საფუძველზე.

8.4. ყოველი შემდეგი ტრანშის გადარიცხვა არ მოხდება თუ განმცხადებელი არ დაადასტურებს ჩარიცხული ტრანშის ათვისებას და თანადაფინანსების შესაბამისი ნაწილის (სრული თანხის) ხარჯვას.

8.5. კონკურსის გამომცხადებლები ზედამხედველობას და მონიტორინგს გაუწევენ განაცხადით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ხარისხის შესაბამისობა და განსაზღვრული ეტაპების მიღწევის პროგრესი.

8.6. გამარჯვებული განმცხადებლები ვალდებული არიან ითანამშრომლონ კონკურსის გამომცხადებლებთან ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისთვის" ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებში, რათა საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადონ მათი შედეგების წარმოჩენა, გამოცდილების გაზიარება.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერის მოვალეობის შემსრულებელი — დავით ერემეიშვილი